ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 7

20 იანვარი
"---"-------- 2017 წ

ქ. თბილისი

„შპს „ჯეთ როუდისთვის" (ს/კ: 401956889) განსაზღვრული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 30 სექტემბრის №25.20.1160 დადგენილებით გათვალისწინებული იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლების შეწყვეტის, შესაბამისი საიჯარო პირობების გაუქმებისა და შპს „ჯეთ როუდის" (ს/კ: 401956889) პირგასამტეხლოს გადახდისგან გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა", „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების და 127² მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს „შპს „ჯეთ როუდისთვის" (ს/კ 401956889) განსაზღვრული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 30 სექტემბრის №25.20.1160 დადგენილების დანართი №3-ით განსაზღვრული საიჯარო პირობების 2.1 და 2.2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „შპს „ჯეთ როუდისთვის" (ს/კ: 401956889) განსაზღვრული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 30 სექტემბრის №25.20.1160 დადგენილებით გათვალისწინებული იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლების შეწყვეტის, შესაბამისი საიჯარო პირობების გაუქმების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენისა და შპს „ჯეთ როუდის" (ს/კ: 401956889) პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 4 იანვრის №01.10.10 განკარგულების შესაბამისად, „შპს „ჯეთ როუდისთვის" (ს/კ 401956889) განსაზღვრული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 30 სექტემბრის N25.20.1160 დადგენილების დანართი N3-ით განსაზღვრული საიჯარო პირობების 2.1 და 2.2 პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის

დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან „შპს „ჯეთ როუდის“ (ს/ნ 401956889) გათავისუფლებაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი